ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ალეკო თამაზაშვილის მიერ 2025-2026 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

ოქმი N1

საანგარიშო შეხვედრის ჩატარების დრო:

29 ოქტომბერი, 2026 წელი 16 საათი.

ანგარიშის წარდგენის ადგილი:

ქალაქი ქუთაისი ცოტნე დადიანის ქუჩა N11

ავტოქარხანა მე-3 სამუსიკო სკოლის დარბაზი.

შეხვედრას უძღვებოდა : ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი ალეკო თამაზაშვილი.

ესწრებოდნენ : ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ავტომშენებლის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები, ავტომშნებლის ოლქის ადგილობრივი მოსახლეობა.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 130-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბატონი ალეკო თამაზაშვილის ანგარიში 2025-2026 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა ალეკო თამაზაშვილმა ისაუბრა, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების და საკრებულოს ფრაქციის საქმიანობისას შემუშავებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობრივად განხორციელებული პროექტების, ასევე ავტომშენებლის საარჩევნო ოლქში მცხოვრები მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა ალეკო თამაზაშვილმა საანგარიშო პერიოდის შეჯამებისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელებულ საქმიანობაზე და უდიდესი მადლიერებით

აღნიშნა ამ საქმიანობაში ავტომშენებლის ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომელთა მხარდაჭერა და თავდაუზოგავი შრომა.

მან წარადგინა ვრცელი ინფორმაცია, რომელიც აერთიანებს ავტომშენებლის ოლქში ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებს, როგორიც არის : გზების, საფეხმავლო ბილიკების, ახალი ხიდების გაკეთებას, საყრდენი კედლის, ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციას, ასევე სკვერების და სპორტულ, გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

ანგარიშში დეტალურად იქნა განხილული ავტომშენებლის ოლქის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პროცესი, მოქალაქეთა განცხადებებისა და მომართვის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემური საკითხები, მათი მოგვარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, შესაბამის უწყებებთან,(ქალქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, ადმინისტრაციულ ერთეულებთან) თანამშრომლობა და მიღწეული შედეგები.

ასევე ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტში არსებულ საჭიროებებზე, განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე და პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

ანგარიშის წარდგენის დასასრულს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა ალეკო თამაზაშვილმა მადლობა გადაუხადა, ავტომშენებლის ოლქის ამომრჩევლებს, მოწვეულ სტუმრებს, ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებსა და საკრებულოს აპარატს გამოცხადებული ნდობისა და თანადგომისათვის.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მოქალაქე მარინა არზიანი: ,,მოგესალმებით, მე ვარ ავტომშენებლის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრები, ბატონ ალეკოს უდიდეს მადლობას ვუხდი ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში გაწეული საქმიანობისთვის, ჩვენი პრობლემების გაზიარებისთვის და გვერდით დგომისათვის.

მოგეხსენებათ, რომ ავტომშენებლის ქუჩაზე მოხდა მრავალბინიან კორპუსების ფასადების შეღებვა, მაინტერესებს როდის მოხდება დარჩენილი კორპუსების ფასადების გაკეთება? საქმე ეხება ავტომშენებლის ქუჩაზე N 19, N 20, N 22 და N24 კორპუსებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი ალეკო თამაზაშვილი:

მადლობას მოგახსენებთ კითხვისთვის, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობა აქტიურად ინტერესდება არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხში. აქვე ავღნიშნავ, შესაძლებელი რომ იყოს ერთად გავაკეთოთ ყველა კორპუსის ფასადი დამერწმუნეთ, რომ ეს მოხდებოდა. შესრულების ნაწილში, არაკეთილსინდისიერი შემსრულებლების გამო, ვაწყდებით ისეთ პრობლემებს, რომლის გამოც ვერ ხერხდება ხარისხიანად სამუშაოების შესრულება რაც იწვევს დროის გაჭიანურებას, თუმცა უმოკლეს დროში ეს საკითხი გადაიჭრება.

მოქალაქე იამზე შალამბერიძე : მოგესალმებით, მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი უბნის მაჟორიტარს ბატონ ალეკო თამაზაშვილს, და ავღნიშნო, რომ თვითოეული ავტომშენებლის ოლქის მოსახლე გრძნობს ბატონი ალეკოს გვერდით დგომას და დახმარებას.

ბატონო ალეკო, მაინტერესებს იგეგმება თუარა ახლო მომავალში ხარებავას ქუჩის N40 კორპუსის სადარბაზოს სარემონტო სამუშაოები და კორპუსთან მდებარე სკვერის მოწყობა?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი ალეკო თამაზაშვილი:

ქალბატონო მზია, მადლობას მოგახსენებთ შეკითხვისთვის, სამწუხაროდ ცალკეული სადარბაზოების რემონტი ვერ განხორციელდება, ჯერ უნდა დასრულდეს უკვე დაწყებული პროექტი და შემდეგ დაიწყოს მომდევნო. ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იყოს მაცხოვრებელთა პრეტენზიები, ეს ყველაფერი კი მიბმულია ფინანსებთან, მოგეხსენებათ 40 მილიონი ლარი, რაც ქალაქს გააჩნია, გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, რაც საშუალებას იძლევა ეტაპობრივად მოხდეს მიმდინარე და მომავალში დაგეგმილი პროექტების დასრულება.

რაც შეეხება ხარებავას N40-ში სკვერის მოწყობას მოქალაქეთა მიღებაზე კიდევ ერთხელ გავიაროთ ეს საკითხი და თუ აღმასრულებელ ორგანოებთან შევთანხმდებით თავიდან დაიძრება ეს საკითხი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბესიკ ჩეჩელაშვილი: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, რომ წელიწადში ორჯერ ხდება ბიუჯეტის ფორმირება და რიგითობის მიხედვით ხდება მოქალაქეთა პრობლემების გათვალისწინება. სრული პასუხისმგებლობით ავღნიშნავ რომ თითოეული თქვენგანის პრობლემა მოსმენილი და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება.

მოქალაქე ნინო ტატურაშვილი: ბატონო ალეკო, პირადად გიხდით მადლობას ავტომშენებლის ოლქის მოსახლეობის სახელით თავდაუზოგავი შრომისთვის ამ წლების მანძილზე, დარწმუნებულები ვართ, რომ ის პრობლემები, რაც ახლა ავტომშენებლის მაცხოვრებელთა წინაშე დგას თქვენი, როგორც ჩვენი მაჟორიტარის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანადგომით უმოკლეს დროში მოგვარდება.

შეხვედრის დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა დადებითი შეფასება მისცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბატონი ალეკო თამაზაშვილის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აღნიშნეს, რომ ბატონი ალეკო აქტიურადაა ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში, სისტემატურად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციის სამუშაო შეხვედრებში. გარდა დაგეგმილი შეხვედრებისა ,ყოველდღიური კონტაქტი აქვს ავტომშენებლის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლებთან,ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

ანგარიშის მოსმენის დასრულების შემდეგ, დამსწრე სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბატონ ალეკოს გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვეს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: ალეკო თამაზაშვილი

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: მაკა ცაგარელი